მეხუთე კლასი

ჯამური ქულა: 100
საკითხების რაოდენობა: 40

ტესტი შედგება **5 ძირითადი სავარჯიშოსაგან**, რომლებიც ამოწმებს მოსწავლის ინგლისური ენის ცოდნას სხვადასხვა მიმართულებით: წაკითხულის გაგება, გრამატიკა, ლექსიკა, სიტყვათა შექმნა და ლოგიკური აზროვნება.

ყველა კითხვა არის **არჩევითპასუხებიანი (A, B, C, D)**.

#1 წაკითხულის გაგება – Reading

ქულა: 15
საკითხი: 5 (3 ქულა თითოეულში)

პირველი სავარჯიშო არის მოკლე ტექსტი. მოსწავლემ უნდა უპასუხოს კითხვებს ტექსტის მიხედვით.

სავარჯიშო ამოწმებს:
• მთავარი ინფორმაციის ამოცნობას
• დეტალების სწორი გაგებას
• ტექსტის თემის აღქმას

#2 ლექსიკა და გრამატიკა კონტექსტში – Vocabulary and Grammar in Context

ქულა: 30
საკითხი: 10 (3 ქულა თითოეულში)

ტექსტში მოცემულია ცარიელი ადგილები. მოსწავლემ უნდა შეარჩიოს **ყველაზე შესაბამისი სიტყვა ან ფორმა** თითოული ცარიელი ადგილისთვის.

სავარჯიშო ამოწმებს:
• ზმნების ფორმებს (present simple, past, modal verbs)
• წინადადების ლოგიკურ დასრულებას
• ყოველდღიურ ლექსიკას (პროფესიები, დღეის რუტინა, საკვები და ჩვევები)

მაგალითი: She usually (6) ____ during the week.

A. works
B. working
C. work
D. worked

სწორი პასუხია **A. works**.

#3 გრამატიკა და ლექსიკა – Grammar and Vocabulary Quiz

ქულა: 20
საკითხი: 10 (2 ქულა თითოეულში)

ამ ნაწილში მოსწავლემ უნდა აირჩიოს **წინადადებისთვის სწორი გრამატიკული ფორმა** ან **შესაბამისი სიტყვა.**

მაგალითი: I can’t … a motorbike.

A. drive
B. travel
C. fly
D. ride

სწორი პასუხია **D. ride**.

#4 განსხვავებული სიტყვა – Odd One Out

ქულა: 15
საკითხი: 5 (3 ქულა თითოეულში)

ამ სავარჯიშოში მოსწავლემ უნდა იპოვოს **სიტყვა, რომელიც განსხვავდება დანარჩენისგან.**

სავარჯიშო ამოწმებს სიტყვების კლასიფიკაციის უნარს.
მაგალითი:

A. cinema
B. theatre
C. circus
D. hospital

სწორი პასუხია **D. hospital** რადგან დანარჩენი ადგილებია გასართობი, ხოლო hospital-არა.

#5 სიტყვების შექმნა – Word-building

ქულა: 20
საკითხი: 10 (2 ქულა თითოეულში)

სავარჯიშოში მოცემულია სიტყვების ნაწილები. მოსწავლემ უნდა შეარჩიოს **სწორი ნაწილი,** რათა მიიღოს შედგენილი სიტყვა (compound word).

მაგალითი: tooth A. paste B. cream C. spade D. pasta

სწორი პასუხია **A.**

📚 დამატებითი ინფორმაცია

მოსამზადებელი კურსი შექმნილია ისე, რომ მოსწავლემ შეძლოს:

- გაიმეოროს საბაზისო ინგლისური ლექსიკა.
- ივარჯიშოს სიტყვების სწორ მართლწერაში.
- განავითაროს სურათის მიხედვით ინფორმაციის ამოცნობის უნარი.
- გაიუმჯობესოს ინგლისური ენის ძირითადი უნარები.

დამატებითი მოსამზადებელი კურსი ხელმისაწვდომია მოსწავლეთა პროფილებში.